„დინამო“ (თბილისი) - სპარტაკი „მოსკოვი“ 0:1 (0:1)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 24 მაისი.

„დინამო“: ხაპოვი, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, ჯიშკარიანი, თეთრაძე, სვანაძე, ცვეიბა, ცაავა, ქეცბაია, გოგიჩაიშვილი.

„სპარტაკი“: ჩერჩესოვი, ბაზულევი, კულკოვი, სუსლოპაროვი (კაპუსტინი, 62), ბუბნოვი (შალიმოვი, 46), ბოკი, კუზნეცოვი, ივანოვი, შმაროვი, ჩერენკოვი, როდიონოვი.

მსაჯი: ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

გააფრთხილეს კულკოვი, სუსლოპაროვი.

დინამოელებმა აქტიურად, ენერგიულად ითამაშეს, მატჩის უმეტეს ეპიზოდებში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, თუმცა გადამწყვეტ მომენტებში კარგ პოზიციაში მყოფი მოთამაშეები ვერ ახერხებდნენ ხელსაყრელი დარტყმის ზუსტად შესრულებას. ასეთი შესაძლებლობები მიეცათ ცაავას, გოგიჩაიშვილს, ცვეიბას, მაგრამ ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა. თითქმის მთელი მეორე ტაიმი დინამოელებმა მეტოქის ნახევარზე გაატარეს, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს.

ყოველივე ზემოთქმული სრულიადაც არ ნიშნავს, რომ თბილისელებს სრული უპირატესობა ჰქონდათ და მხოლოდ უიღბლობის გამოისობით წააგეს თამაში. სპარტაკელები ხშირად ქმნიდნენ საგოლე მომენტებს მასპინძელთა კართან და ერთერთი მათგანი, კუთხურ მოწოდებათა სერიის შემდეგ, 33-ე წუთზე ზუსტი შორეული დარტყმით დაამთავრა კულკოვმა -1:0 .

მაგრამ სიმართლე მოითხოვს და უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მატჩში თბილისის „დინამო“ ის არ იყო, რაც „სპარტაკთან“ წინაშეხვედრაში და არც „სპარტაკი“ გამოიყურებოდა ისე, როგორც თასის მეოთხედფინალში. სპარტაკელებმა, ჩვენი აზრით, ყოველმხრივ, წვრილმანამდე გაიაზრეს მეორე მატჩის შესაძლო ნიუანსები და მინიმალური შეცდომებით ჩაატარეს თამაში.

„სპარტაკი“ - „სპარტაკია“, ლიდერთან დამარცხებამ, რაც არ უნდა დასანანი იყოს ეს, საბრძოლო კალაპოტიდან არ უნდა ამოაგდოს ჩვენი გუნდი. დინამოელები ამჟამად ურიგოდ არ თამაშობენ, მოთამაშეები შევიდნენ სპორტულ ფორმაში, ცალკეულმა წარუმატებლობებმა გუნდი კიდევ უფრო მეტად უნდა განაწყოს გამარჯვებისთვის, სტუმრად თუ საკუთარ მინდორზე მან მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა იბრძოლოს. გვწამს, რომ დინამოელებს შესწევთ საამისო ძალები. საჭიროა მეტი, კონკრეტული ყურადღება უშუალოდ თამაშის მსვლელობისას, მეტოქის კართან შექმნილი თითოეული საგოლე მომენტის ზუსტი რეალიზაცია, ბრძოლა, ბრძოლა, შეუპოვარი ბრძოლა!.. თბილისის „დინამოს“ გულშემატკივართა მხრივ მხარდაჭერა არ აკლია, გუნდმაც სრულად უნდა გაამართლოს ჩვენი იმედები

“ლელო” 27.05.1989